ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5813860

ნომერი: AR1875402

თარიღი : 31.01.2022

გაცემის თარიღი : 21.02.2022

გაცნობის თარიღი : 21.02.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, რეზო გაბაშვილის ქუჩა, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ავსაჯანიშვილი პ/ნ 01019067136
- თბილისი ა.წიკლაურის ქ. N 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 ივლისის №5524370 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022

წლის 31 იანვარს №AR1875402 განცხადებით მომართა ირაკლი ავსაჯანიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 29 ივლისის №5524370 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 29 ივლისის №5524370 ბრძანებით №01.11.17.004.496 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამსახურის 2021 წლის 27 ივლისის №5520261 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 29 ივლისიდან 2023 წლის 29 ივლისის ჩათვლით. სამსახურის 2021 წლის 29 ივლისის №5524370 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა ირაკლი გოლეთიანი (პ/ნ: 01025010373).
წარმოდგენილი განცხადებით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო, მოთხოვნილია სამსახურის 2021 წლის 29 ივლისის №5524370 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - ირაკლი გოლეთიანის (პ/ნ: 01025010373) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს "ეიმ ბილდინგ კომპანი"-ს (ს/ნ: 206318046) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: №882022101214, მომზადების თარიღი: 11/02/2022 წ.) თანახმად, №01.11.17.004.496 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს "ეიმ ბილდინგ კომპანი" (ს/ნ: 206318046). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B19065716, მომზადების თარიღი: 12/06/2019 წ.) შპს "ეიმ ბილდინგ კომპანი"-ს (ს/ნ: 206318046) დირექტორს წარმოადგენს კახაბერ ხატიაშვილი (პ/ნ: 01021012693). სამსახურში წარმოდგენილია შპს "ეიმ ბილდინგ კომპანი"-ს (ს/ნ: 206318046) მიერ (დირექტორი: კახაბერ ხატიაშვილი) განმცხადებლის - ირაკლი ავსაჯანიშვილის სახელზე გაცემული 2022 წლის 31 იანვრის №01/22/03 მინდობილობა. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.11.17.004.496 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "ეიმ ბილდინგ კომპანი" (ს/ნ: 206318046), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელიც სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2021 წლის 29 ივლისის №5524370 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს "ეიმ ბილდინგ კომპანი"-ს (ს/ნ: 206318046) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 ივლისის №5524370 ბრძანებაში და დამკვეთად ირაკლი გოლეთიანის (პ/ნ: 01025010373) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს "ეიმ ბილდინგ კომპანი" (ს/ნ: 206318046).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 ივლისის №5524370 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 ივლისის №5524370 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.